

## ბერნჰარდ შლინკის „წამკითხველის“ ქართული თარგმანები

### Georgian Translations of *The Reader* by Bernhard Schlink

ბერნჰარდ შლინკი (1944) თანამედროვე გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და თვალსაჩინო წარმომადგენელია. საჯარო სამართლისა და იურიდიული ფილოსოფიის პროფესორი ბავშვობიდან დაინტერესებული იყო ლიტერატურით და ადრეული ასაკიდანვე წერდა. სამწერლო საქმიანობა კი მან რამდენიმე დეტექტიური რომანით დაიწყო. ესენია: *Selbs Justiz*, *Selbs Betrug*, *Selbs Mord*, *Die gordische Schleife* (*ზელბსის მართლმსაჯულება*, *ზელბსის სიცრუე*, *ზელბსის თვითმკვლელობა*, *გორდიას კვანძი*). ბერნჰარდ შლინკის ნაწარმოებთა უმეტესობა კრიმინალური ჟანრისაა. *წამკითხველი* (*Der Vorleser*, 1995) მისი პირველი არადეტექტიური რომანია, რომელმაც მას მსოფლიო წარმატება და აღიარება მოუტანა. ქართველმა მკითხველმა სწორედ ამ ნაწარმოებით გაიცნო მწერალი. საქართველოში რომანის განსაკუთრებულ პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი სამი ქართული თარგმანი არსებობს. *Der Vorleser* პირველად 2005 წელს თარგმნა მაია მირიანაშვილმა, სახელწოდებით *როცა უკითხავდა*. იგი დაბეჭდა გამომცემლობაში „იბისი“. 5 წლის შემდგომ, 2010 წელს, მაია მირიანაშვილმა, რომანის განახლებული ვერსია შემოგვთავაზა სახელწოდებით *წამკითხველი* და იგი გამოსცა გამომცემლობა „ზებრამ“. მესამედ *წამკითხველი* ახალგაზრდა ქართველმა დებიუტანტებმა გვანცა შუბითიძემ და ნათია ლაფერაძემ თარგმნეს. ეს თარგმანი 2021 წელს გამოაქვეყნა გამომცემლობა „ინტელექტმა“.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ბერნჰარდ შლინკის *წამკითხველის* ქართული თარგმანების შედარება ორიგინალთან და იმის ჩვენება, თუ რამდენად ზუსტადაა გადმოცემული მათში ნაწარმოების პრობლემატიკა, ეპოქის მაჯისცემა, მთავარ მოქმედ პერსონაჟთა სულიერი განწყობილებები და ქცევები.

კვლევისთვის საყურადღებოდ მიგვაჩნია ავტობიოგრაფიული ეპიზოდები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ბერნჰარდ შლინკის ტექსტისთვის. რომანის სტრუქტურა და ენა ასევე დიდმნიშვნელოვანია მხატვრულ თარგმანზე მუშაობისას. პრობლემები, რომლებსაც შლინკი წარმოაჩენს თავის რომანში *წამკითხველი*, ერთიანად საინტერესო და, ამავდროულად, აქტუალურია ყველა თაობის ადამიანისთვის: დანაშაული, სასჯელი, წარსული, წარსულის დაძლევის მცდელობა, წარსულთან თანაცხოვრება, მეორე მსოფლიო ომი, ომის შემდგომი თაობა, თაობათა

შორის კონფლიქტი, ჰოლოკოსტი. ეს ის თემებია, რომლებიც საზოგადოებას კვლავ ნაციონალ-სოციალიზმის უმძიმესი ეპოქისკენ ახედებს და ახსენებს უამრავ მსხვერპლს.

ბერნჰარდ შლინკის თხრობის სტილი არის ზუსტი და მკაფიო. მწერალი უარყოფს კომპლექსურ და ძნელად გასაშიფრ ენას, რის გამოც მისი რომანი ერთი ამოსუნთქვით იკითხება და ხიბლავს მკითხველს. მწერლის თხრობის სტილი მკითხველს არწმუნებს, რომ ნაწარმოებში გადმოცემული ამბები რეალურია და ავტობიოგრაფიული. მის თითოეულ თავში ორიგინალურად მონაცვლეობს განმცდელი მე და მთხრობელი მეს თხრობის პერსპექტივები. დომინანტური სტილი არის თხრობითი, რომელიც გამოხატულია რეფლექსიებითა და დიალოგური ჩანართებით. სამნაწილიანი რომანის სტრუქტურა მიჰყვება ცენტრალურ სიუჟეტურ ხაზს. მასში არსებული ავტობიოგრაფიული ელემენტები თხრობას დამაჯერებელს და ავთენტურს ხდის. პირველ პირში მთხრობელი ახალგაზრდა მიხაელ ბერგი თავად ავტორს ბერნჰარდ შლინკს განასახიერებს რომანში და მის სათქმელს აჟღერებს. პროფესიული თანხვედრა მთავარ პროტაგონისტსა და მწერალს შორის უფლებამოსილებას ანიჭებს ახალგაზრდა მიხაელს შეაფასოს ჰანას დანაშაულებრივი წარსული. შლინკს კი შესაძლებლობას აძლევს, გადააფასოს მშობლების წარსული. აღსანიშნავია ისიც, რომ რომანში მოქმედება ხდება ჰაიდელბერგში, ქალაქში სადაც თავად ავტორი ადრეული ასაკიდან ცხოვრობდა.

ვინაიდან შლინკის რომან *წამკითხველის* 2005 და 2010 წლის თარგმანებს შორის ძირეული შინაარსობრივი და სტრუქტურული განხვავებები არ მოიძებნება, ძირითად აქცენტს *წამკითხველის* 2010 და უახლესი, 2021 წლის ქართულ თარგმანებზე გავაკეთებთ.

სტრუქტურული თვალსაზრისით რომანის *Der Vorleser* 2005 წლის პირველი ქართული თარგმანი სათაურით *როცა უკითხავდა*, მსგავსად 2010 წლის გამოცემისა – *წამკითხველი*, სამი ნაწილისგან შედგება. შინაარსობრივი ნაწილი თარგმანის ორივე ვერსიაში სრულიად იდენტურია, არ არის ამოღებული არც ერთი აბზაცი და მეტიც, თითქმის ყოველი აბზაცის დასაწყისი და დასასრული ერთმანეთს ემთხვევა. ასევე ერთმანეთს ემთხვევა ქვეთავების ნუმერაციაც. არსებულ ორ თარგმანს შორის მთავარი, ძირეული განსხვავება გამოიხატება მხოლოდ სათაურის ცვლილებაში და სიტყვების რაოდენობაში. თუკი 2005 წლის გამოცემა 201 გვერდია, განახლებული 2010 წლის გამოცემა არის მხოლოდ და მხოლოდ 128 გვერდი. ეს ცვლილება განპირობებულია აბზაცების გაერთიანებით.

2005 და 2010 წლების თარგმანების შედარებისას, თვალშისაცემია სიტყვების ოსტატური მონაცვლეობით და მათი უკეთესი ვერსიით ჩანაცვლების საოცარი ეფექტი, რაც თხრობას მეტად დამაჯერებელს და დახვეწილს ხდის. რიგ შემთხვევებში ჩასწორებულია პუნქტუაციაც.

მაგალითისთვის მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს, რომლებშიც ჩანს ცვლილებები, ცალკეული სიტყვები გასწორებული და ენობრივად გამართულია: რაღაც-რაღაცეები (შლინკი, 2005, გვ. 67) – რაღაც-რაღაცეები (შლინკი, 2010, გვ. 43), პარასკეობით (შლინკი, 2005, გვ. 80) – პარასკევობით (შლინკი, 2010, გვ. 51), დღეს ვიცნობიერებ (შლინკი, 2005, გვ. 19) – დღეს ვაცნობიერებ (შლინკი, 2010, გვ. 11), აღდგომის არდადეგები (შლინკი, 2005, გვ. 41) – სააღდგომო არდადეგები (შლინკი, 2010, გვ. 26) და ა.შ.

დასაფასებელია მთარგმნელის დაუღალავი შრომა და საქმისადმი პროფესიონალური მიდგომა, რაც კარგად ჩანს თარგმანების შედარებისას. თარგმანის განახლებული ვერსია ენობრივად და სტილურად გამართულია და სასიამოვნოდ იკითხება.

ბერნჰარდ შლინკის *წამკითხველის* თარგმანების ანალიზისას საყურადღებოდ მიგვაჩნია რომანის სათაური, რომლის ქართული ვერსია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და ამდენად დავის საკითხიცაა. ამ ფაქტს მოწმობს მათა მირიანაშვილის მიერ 2010 წელს გამოცემული თარგმანის მეორე ვერსია, რაც ფაქტობრივად მხოლოდ სათაურის ცვლილებაში გამოიხატა. თარგმანის ეს ვერსია მაღალ დონეზეა შესრულებული. მთარგმნელი კეთილსინდისიერად უდგება თარგმნის პროცესს, მაქსიმალურად ინარჩუნებს ორიგინალის ენასთან სიახლოვეს და ცდილობს ქართველ მკითხველს აგრძნობინოს ეპოქის მაჯისცემა. მიგვაჩნია, რომ რომანის სათაური – *წამკითხველი* – უკეთ შეესაბამება გერმანული ტექსტის სახელწოდებას *Der Vorleser*, ვიდრე 2005 წლის გამოცემის – *როცა უკითხავდა*.

ის თუ რამდენად კარგად გაითავისა მთარგმნელმა გერმანულენოვანი ტექსტის ენა, რამდენად ღრმად ჩასწვდა რომანის მთავარ პრობლემატიკას და რაოდენ შთამბეჭდავად გადმოსცა ის მშობლიურ ენაზე, კარგად ჩანს შემდეგ ციტატაში:

*აქ კი მარტო ერთი რაღაცის გაკეთება შეიძლებოდა. შემძლო წავსულიყავი სასამართლოს თავმჯდომარესთან და მეტყვა, რომ ჰანა წერა-კითხვის უცოდინარი იყო და რომ ის არ ყოფილა იმ საშინელი ღამის მთავარი დამნაშავე, ძირითადი ბრალი მას არ მიუძღოდა, როგორც ამას სხვები ამტკიცებდნენ და ცდილობდნენ ყველაფერი მისთვის გადაებრალებინათ. და რომ სასამართლოზე ჰანას ასეთი მოქცევის მიზეზი მისი განსაკუთრებული სიჯიუტე, მოურჯულებლობა, არაკეთილგონიერება, უტიფრობა კი არ იყო, არამედ ის, რომ წაყენებულ ბრალდებას არ იცნობდა, არ იცოდა იმ წიგნის შინაარსი და, ალბათ, არ ჰქონდა თავისი სტრატეგია და ტაქტიკა. და რომ ის საკუთარი თავდაცვის საქმეს საოცრად უშლიდა ხელს. და რომ ის სულაც არ ყოფილა იმდენად დამნაშავე, როგორც სასამართლოს წინაშე წარმოაჩინა.*

*ალბათ, ვერ შევძლებდი გადამერწმუნებინა სასამართლო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დავაფიქრებდი და ჩავაკვირებდი საქმეში. ბოლოს*

*დავამტკიცებდი, რომ მართალი ვიყავი. ჰანა კი დაისჯებოდა, მაგრამ არც თუ ისე მძიმე სასჯელით. თუმცა ციხეში ჯდომა მაინც მოუწევდა, მაგრამ უფრო ადრე გამოვიდოდა. განა თვითონ ჰანაც ამისთვის არ იბრძოდა? (შლინკი, 2010, გვ. 78-79)*

მთავარი პროტაგონისტის მიხაელ ბერგის ამ მონოლოგში გაჟღერებულია თავად მწერლის მთავარი სათქმელი და წარმოჩენილია რომანის ძირითადი პრობლემატიკა, რაც მთარგმნელმა მაქსიმალური სიზუსტით გადმოიტანა ქართულ ენაზე. ციტატაში ნათლად ჩანს თუ რამდენად განსხვავებული კუთხით წარმოგვიდგენს შლინკი ზოგადად დანაშაულსა და დამნაშავეს – მას დამნაშავე გამოჰყავს მსხვერპლად.

ცალსახად გაუმართლებლად მიაჩნია შლინკს დანაშაული და დამნაშავე. არც არავინ დავობს იმაზე, რომ რომანის მთავარი პროტაგონისტი ქალი, ჰანა შმიცი, ნამდვილად დამნაშავეა, რომელიც აუცილებლად დაისჯება ჩადენილის გამო. აქ შლინკი საკითხს სვამს სხვაგვარად, იყო ეს მისი პირადი ნება თუ მოვალეობა?! რამდენად არის იგი კოლექტიური დანაშაულის მსხვერპლი? ჰქონდა თუ არა მას სხვა არჩევანი?! ეს იყო მის მიერ გადადგმული გააზრებული თუ გაუაზრებელი ნაბიჯი?! ეს ის კითხვებია რომლებზეც პასუხების პოვნის შემთხვევაში ჰანა შმიცი პირველ რიგში წარმოგვიდგება როგორც ადამიანი თავისი შეცდომებით და მორალური ღირებულებებით. ქართველი მკითხველი კარგად იაზრებს მწერლის მთავარ მესიჯს, ნათლად უჩვენოს დანაშაულის ჩამდენი, რომელიც, თავად ყოველთვის არცაა დამნაშავე, არამედ, შესაძლოა, იგი დროებისა და გარემოების მსხვერპლია.

როგორც აღვნიშნეთ, *წამკითხველის* რიგით მესამე და უახლესი ქართული თარგმანი ახალგაზრდა ქართველ დებიუტანტებს გვანცა შუბითიძეს და ნათია ლაფერაძეს ეკუთვნის.

რომან *წამკითხველის* უახლესი ქართული თარგმანიდან მოვიყვანთ ერთ ეპიზოდს, რომელიც წარმოადგენს მიხაელ ბერგის თვალთ დანახულ ჰანა შმიცს.

Ich erinnere mich, Ihr Körper, ihre Haltungen und Bewegungen manchmal schwerfällig wirkten. Nicht dass sie so schwer gewesen wäre. Vielmehr schien sie sich in das Innere ihres Körpers zurückgezogen, diesen sich selbst und seinem eigenen, von keinem Befehl des Kopfs gestörten ruhigen Rhythmus überlassen und die äußere Welt vergessen zu haben. Dieselbe Weltvergessenheit lag in den Haltungen und Bewegungen, mit denen sie die Strümpfe anzog. (Schlink 1995: 17-18).

მხოლოდ ის მახსოვს, რომ ზოგჯერ მის ქცევასა და მოძრაობებში სიტლანქესა და მოუხეშობასაც ვამჩნევდი. იმიტომ კი არა, რომ თვითონ იყო ტლანქი. ალბათ უფრო იმიტომ, რომ ის საკუთარ სხეულში ჩაკარგვასა და განმარტოებას ცდილობდა, გარე სამყაროს ივიწყებდა და თავს აღარანაირ კონტროლს არ

უწევდა. სწორედ ეს სამყაროს მივიწყება შეიცნობოდა მის ქცევაში, ალბათ წინდების ჩაცმის დროსაც (შლინკი, 2005, გვ. 15-16).

მისი სხეული, ტანის ჭერის მანერა და მოძრაობები ზოგჯერ ტლანქიც კი ჩანდა. არა იმიტომ, რომ მოუხეშავი იყო, არამედ, თითქოს, საკუთარ სხეულში შეეყუჟულს, ეს უკანასკნელი საკუთარი არსებისა და ტვინის ბრძანებებისაგან თავისუფალი, მშვიდი რიტმისთვის მიენდო, გარესამყარო კი დავიწყებოდა. სწორედ ეს გარესამყაროს უგულვებელყოფა იმალებოდა მისი ტანის დაჭერასა და მოძრაობებში, როცა წინდებს იცვამდა (შლინკი, 2021, გვ. 17).

ამ მაგალითით დასტურდება, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით ცდილობს მთარგმნელი, ქართულ მკითხველამდე ზუსტად მოიტანოს ის ემოცია, რომელიც გერმანულ ტექსტს აქვს. ჰანას პორტრეტი ქართულ ენაზე ისევე შთამბეჭდავად ნაჩვენები, როგორც ორიგინალში. მიგვაჩნია, რომ 2005 წლის პირველ ქართულ თარგმანთან შედარებით, 2021 წლის ვერსიაში ზედმიწევნითი სიზუსტითა გადმოცემული გერმანელი ავტორის ჩანაფიქრი. გარდა ამისა, ამ ორი თარგმანის, კონკრეტულად ამ ფრაგმენტის, შედარებისას იგრძნობა სიტყვათა მონაცვლეობით გამოწვეული წინადადებების აზრობრივი გაუმჯობესება და დახვეწა, რაც კითხვის პროცესს მეტად სასიამოვნოს ხდის.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა მთარგმნელების მიერ მაქსიმალური სიზუსტით არის გადმოცემული რომანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პასაჟი სასამართლო პროცესიდან:

*როცა სხვა ბრალდებულთა ადვოკატებმა შენიშნეს, რომ ეს სტრატეგიები ჰანას აღიარებების გამო განწირული იყო, სხვა სტრატეგიაზე გადავიდნენ. მისი თანამშრომლობისთვის მზაობა ისე გამოიყენეს, რომ სხვა ბრალდებულებს ბრალი შემსუბუქებოდათ, ჰანას კი, პირიქით დამძიმებოდა. ადვოკატები ამას პროფესიული გულგრილობით აკეთებდნენ, ბრალდებულები კი მათ აღშფოთებული შემახილებით უმაგრებდნენ ზურგს (შლინკი 2021:113). (Als die Verteidiger der andere Angeklagten merkten, dass solche Strategien an Hannas bereitwilligem Zugeben scheiterten, stellten sie auf eine Strategie um, die das bereitwillige Zugeben ausnutzte, Hanna be- und dadurch die anderen Angeklagten entlastete. Die Verteidiger taten es mit fachlicher Distanz. Die anderen Angeklagten sekundierten mit empörten Einwürfen) (Schlink 1995:110).*

*ბინძურო მატყუარა! შენი საყვარელი ტყვეები – შენები იყვნენ, მარტო შენები!*  
(შლინკი, 2021, გვ. 114) (Du dreckige Lügnerin! Deine Lieblinge – das war deines, deines allein! (Schlink 1995:111).

ამ ფრაგმენტში ნათლად ჩანს, თუ რამდენად დაუცველია ჰანას, როგორც ადამიანის და როგორც კოლექტიური დანაშაულის მსხვერპლის უფლებები სასამართლო პროცესზე, როცა მას თავს ესხმიან მასზე უფრო მეტი დანაშაულის ჩამდენი ქალები. ეს უკანასკნელნი ახალ დანაშაულს ჩადიან კვლავ კოლექტიურად ცრუ ჩვენებების მიცემით და მსხვერპლზე მორალური და ფსიქოლოგიური ზეწოლის გზით.

ორიგინალისგან არანაკლებ შთამბეჭდავ ემოციებს აღძრავს რომანის ფინალი.

*გამომეღვიძა და მაშინვე გამახსენდა, რომ ჰანა მკვდარი იყო. ისიც გავაცნობიერე, რომ ეს მონატრება ისევ მის სახელს ჩაებღაუჭა, თუმცა მას არ მიემართებოდა – ეს იყო შინ დაბრუნების მონატრება (შლინკი 2021:206) (Ich wachte auf und wusste wieder, dass Hanna tot war. Ich wusste auch, dass die Sehnsucht sich auf ihr festmachte, ohne ihr zu gelten. Es war die Sehnsucht danach, nach Hause zu kommen (Schlink 1997: 200).*

ცნობილი გერმანისტი და მთარგმნელი დალი ფანჯიკიძე თავის ნაშრომში *თარგმანის თეორია და პრაქტიკა* აღნიშნავს:

*... თარგმანის მხოლოდ ენის დონეზე უარყოფითად ან დადებითად შეფასება მცდარ კრიტერიუმს ემყარება: თვით აღიარებულ მთარგმნელთა ნაშრომებშიც არ არის ძნელი მოძებნო რამდენიმე ენობრივი ლაფსუსი... (ფანჯიკიძე, 1988, გვ. 22)*

მართებულად მიიჩნევს დალი ფანჯიკიძე, რომ არ და ვერ აკნინებს ვერც ერთ თარგმანს მცირე ენობრივი ლაფსუსები და რომ ენობრივი ლაფსუსების აღმოჩენა სრულიადაც არ არის გადამწყვეტი თარგმნის დასაწყუნებლად. თუმცა, ჩვენ მაინც გვსურს წარმოვადგინოთ რამდენიმე ციტატა, რომლებიც შლინკის *წამკითხველის* 2021 წლის თარგმანის კითხვის პროცესში საკმაოდ თვალში საცემია და ცოტა უხეშადაც ისმინება:

*Niemand ist zu sehen, nichts zu hören... (Schlink 1995:10)*

*არც ვინმე ჩანდა და არც ჩამიჩუმი ისმოდა ... (შლინკი, 2010, გვ. 6)*

*ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებს ... (შლინკი, 2021, გვ. 11)*

ვფიქრობთ, ამ წინადადების შემდეგნაირად თარგმნა აჯობებდა: „ირგვლივ არავინ ჩანს, არც არაფერი ისმის ...“

*... es fährt zu der Frau, die ich nicht mehr sehen will, macht gegenüber dem Vorgesetzten die Bemerkung, mit der ich mich um Kopf und Kragen rede... (Schlink 1995:22)*

*... მაიძულეობდა მივსულიყავი ცოლთან, რომლის ნახვაც აღარ მინდოდა, მათქმევინებდა უფროსის მიმართ შენიშვნებს ... (შლინკი, 2010, გვ. 12)*

*... იმ ქალთან მივყავარ, ვისი ნახვაც აღარ მინდა, ზემდგომისთვის ისეთ რამეს მიმახლევინებს პირში... (შლინკი, 2021, გვ. 22)*

ტექსტის ამ ნაწილის თარგმნაც ამგვარად შეიძლება: „...იმ ქალთან მისვლას მაიძულეობს, რომლის ნახვაც აღარ მინდა. ისეთ რამეს მათქმევინებს უფროსისთვის, რაც შესაძლოა ზიანის მომტანი და საფრთხის შემცველიც კი იყოს ჩემთვის“.

როგორც დალი ფანჯიკიძე აღნიშნავს:

*მხატვრული თარგმანი მასში უცხო და მშობლიური კულტურის შერწყმის ხარისხით ფასდება, უცხო და მშობლიური კულტურის სინთეზი მით უფრო მაღალხარისხოვანი აღმოჩნდება, რაც უფრო ჰარმონიულად იქნება მასში მათი ელემენტები შერწყმული (ფანჯიკიძე, 1988, გვ. 23).*

შესაბამისად რომან *წამკითხველის* ბოლო ქართულ თარგმანში ნაპოვნია ეს მცირედენი ენობრივი უზუსტობები, ვერანაირად ვერ აკნინებს ამ თარგმანს, რადგან ისევე როგორც მაია მირიანაშვილის 2005 და 2010 წწ. თარგმანებმა, ასევე ახალგაზრდა ქართველი დებიუტანტების, 2021 წელს გამოცემულმა თარგმანმაც მიაღწია მთავარ მიზანს - უცხო და მშობლიური ელემენტების სტრუქტურულ სინთეზს. მათ მოახერხეს გერმანული ენის კულტურული გამოცდილების გადმოტანა და მათი ორგანული სინთეზი ქართული ენის კულტურულ სივრცეში, იმდენად, რამდენადაც მათ ამის საშუალება თავად სათარგმნი ენის შესაძლებლობებმა მისცა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული და გერმანული ენების შედარებისას თვალშისაცემია ამ ორი ენის განსხვავებული ხასიათი და ტემპერამენტი. ქართული ენა არის რბილი, გამომხატველობითი, ხატოვანი, მაშინ როდესაც გერმანული უფრო მეტ აქცენტს სიზუსტესა და სათქმელის პირდაპირობაზე აკეთებს.

შლინკის *წამკითხველის* ქართული თარგმანების საფუძვლიან ანალიზზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, რომ სამივე თარგმანს განსაკუთრებული ღირებულება გააჩნია: მაია მირიანაშვილის მიერ 2010 წელს გამოცემული თარგმანი მაქსიმალური სიფაქიზით, სიზუსტით და დეტალებზე ორიენტირებითაა შესრულებული. მასში ორიგინალის ენა ბუნებრივად ერწყმის ქართული ენის გამომხატველობით ტონს. მთარგმნელი ძირითად აქცენტს ტექსტის შინაარსზე აკეთებს. ვინაიდან შლინკის *წამკითხველი* ისედაც რეალისტური ტილოა, ამდენად შინაარსობრივი თანხვედრა და მაქსიმალური სიზუსტე გადამწყვეტია ორიგინალთან მიახლოვებული თარგმანის შექმნის პროცესში.

ახალგაზრდა ქართველმა მთარგმნელებმაც კარგად გაართვეს თავი მათ წინაშე დასმულ ამოცანას და მაქსიმალური სიზუსტით გადმოიტანეს თარგმნილ ტექსტში დაფიქსირებული მთავარი სათქმელი, გვიჩვენეს, თუ როგორ ანადგურებს ტოტალიტარული რეჟიმი და დიქტატურა ინდივიდს და როგორ აქცევს მსხვერპლს დამნაშავედ. ამდენად, ნამდვილად დასაფასებელია გვანცა შუბითიძისა და ნათია ლაფერაძის მიერ გაწეული შრომა.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

გაგნიძე, ნ. (2017). ნარკვევები მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდის გერმანულენოვანი ლიტერატურიდან. რედაქტორი ნანული კაკაურიძე, თბილისი: „სამშობლო“, 272-275.

ფანჯიკიძე, დ. (1988). თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბილისი: „განათლება“.

შიშინაშვილი, ი. (2017). პოსტმოდერნიზმი და ბერნჰარდ შლინკის რომანი წამკითხველი, ქუთაისი.

შლინკი, ბ. (2005). როცა უკითხავდა. ავტორიზებული თარგმანი გერმანულიდან მაია მირიანაშვილისა. თბილისი: „იბისი“.

შლინკი, ბ. (2010). წამკითხველი. ავტორიზებული თარგმანი გერმანულიდან მაია მირიანაშვილისა. თბილისი: „ზებრა“.

შლინკი, ბ. (2021). წამკითხველი. ავტორიზებული თარგმანი გერმანულიდან გვანცა შუბითიძისა და ნათია ლაფერაძისა. თბილისი: „ინტელექტი“.

Schlink, B. (1997). Der Vorleser, Diogenes Verlag AG Zürich.